ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2873813

ნომერი: AR1437702

თარიღი : 06.09.2016

გაცემის თარიღი : 13.10.2016

გაცნობის თარიღი : 20.10.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მთაწმინდა , N 17 / ქალაქი თბილისი , ქუჩა მთაწმინდა , N 19 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ყიფიანი , ნაკვეთი 01/031 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ყიფიანი , N 31 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა წერეთელი პ/ნ 01026011923
- ქ. თბილისი, ბალანჩივაძის მე-5 კორპ. ბ.15

ორგანიზაცია:

- შპს "კერა დეველოპმენტი" კოდი: 404913974

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება
- ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები
  - მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

2016 წლის 6 სექტემბრის #AR1437702 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, საკადასტრო გეგმით #01.15.06.001.041 და #01.15.06.001.008 მიწის ნაკვეთებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების მომზადებას, გაცნობებთ შემდეგს: აღნიშნული საპროექტო ტერიტორიის სამშენებლო განვითარების საკითხი განიხილა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭო“–მ და „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭო“ –მ, რომლის წევრთა დადებითი რეკომენდაციების საფუძველზე საკითხი განსახილველად უნდა გადაიგზავნოს ქ. თბილისის საკრებულოში.

ქ. თბილისის საკრებულოში საკითხის გადაგზავნამდე პროექტთან მიმართებაში უნდა გასწორდეს შემდეგი ხარვეზი კერძოდ:

1) წარმოდგენილ უნდა იქნეს იმ მიწის ნაკვეთის/ნაკვეთების მესაკუთრეთა თანხმობა, რომელთა ამორიცხვაც იგეგმება განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალიდან.

2) წარმოდგენილ იქნეს სრულყოფილი წინასაპროექტო კვლევა ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების დაზუსტებით.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.